თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

საბაკალავრო პროგრამების დებულება

თბილისი,
2025 წელი

შინაარსი

მუხლი 1. საბაკალავრო პროგრამით მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი.....3
მუხლი 2. ძირითადი სპეციალობები 3
მუხლი 3. აკადემიური რეგისტრაცია.....4
მუხლი 4. სწავლის ხანგრძლივობა და აკადემიური კალენდარი 5
მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) 6
მუხლი 6. სტუდენტის მიერ კრედიტების მიღება 7
მუხლი 7. შეფასება და აკადემიური მოსწრების გამოთვლა 8
მუხლი 8. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერება.....12
მუხლი 9. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.....14
მუხლი 10. სასწავლო პროგრამის გაუქმება და მობილობა.....15
მუხლი 11. უნივერსიტეტში სწავლის დაფინანსება 18
მუხლი 12. უნივერსიტეტის მიერ გაცემული დოკუმენტები.....25
მუხლი 13. უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი და სტუდენტის ელექტრონული ფოსტა 25
მუხლი 14. დასკვნითი დებულებები 26

მუხლი 1. საბაკალავრო პროგრამით მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

1.1. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება მოცემული ჩამონათვალიდან ერთ-ერთი აკადემიური ხარისხი:

1.1.1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
1.1.2. საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი;
1.1.3. სამართლის ბაკალავრი;
1.1.4. კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი;
1.1.5. ინჟინერიის ბაკალავრი;
1.1.6. შენობის სისტემების ინჟინერიის ბაკალავრი;
1.1.7. მეცნიერების ბაკალავრი ფიზიკაში;
1.1.8. სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი;
1.1.9. სახვითი ხელოვნების ბაკალავრი;
1.1.10. ინტერიერის დიზაინის ბაკალავრი;
1.1.11. ვიზუალური კომუნიკაციის ბაკალავრი;
1.1.12. არქიტექტურის ბაკალავრი.

1.2. სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ბრძანება ძალაში შედის სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ხელშეკრულება არ არის ორმხრივად ხელმოწერილი, სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ბრძანება ბათილია.

მუხლი 2. ძირითადი სპეციალობები

2.1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ძირითადი სპეციალობაა ბიზნესის ადმინისტრირება.

2.2. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ძირითადი სპეციალობაა საერთაშორისო ურთიერთობები.

2.3. კომპიუტერული მეცნიერებისა და მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ძირითადი სპეციალობაა კომპიუტერული მეცნიერება.

2.4. ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ძირითადი სპეციალობაა ინჟინერია.

2.5. სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ძირითადი სპეციალობაა სამართალი.

2.6. ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ძირითადი სპეციალობაა ფიზიკა.

2.7. მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ძირითადი სპეციალობაა სოციალური მეცნიერებები.

2.8. ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ძირითადი სპეციალობაა სახვითი ხელოვნება.

2.9. ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ძირითადი სპეციალობაა ინტერიერის დიზაინი.

2.10. ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ძირითადი სპეციალობაა ვიზუალური კომუნიკაცია.

2.11. არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ძირითადი სპეციალობაა არქიტექტურა.

2.12. შენობის სისტემების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ძირითადი სპეციალობაა შენობის სისტემების ინჟინერია.

2.13. გარდა ძირითადი სპეციალობისა (მეიჯორი), სტუდენტს შეუძლია მესამე სემესტრიდან (ან მას შემდეგ, რაც სტუდენტი დაასრულებს პირველი და მეორე სემესტრით გათვალისწინებულ პროგრამას) აირჩიოს დამატებითი სპეციალობა (მაინორი).

მუხლი 3. აკადემიური რეგისტრაცია

3.1. აკადემიური რეგისტრაცია არის პროცესი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ არჩევით, სპეციალობის/სავალდებულო არჩევით და აღსადგენ საგნებზე, აირჩიონ დამატებითი სპეციალობის (მაინორი) პროგრამა, შესაბამისი კონცენტრაცია ან/და ენა (თუ ეს გათვალისწინებულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით), გარდა ამ დებულების მე-5 მუხლის 5.7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3.2. აკადემიური რეგისტრაცია ხორციელდება სწავლის მართვის ელექტრონული სისტემის - EMIS-ის მეშვეობით.

3.3. სტუდენტები რეგისტრირდებიან მხოლოდ არჩევით, სპეციალობის/სავალდებულო არჩევით და აღსადგენ საგნებზე. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებზე რეგისტრაცია ავტომატურად ხდება, პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამის სემესტრში, გარდა ამ დებულების მე-9 მუხლის პირველი

პუნქტის "ე" ქვეპუნქტითა და მე-5 მუხლის 5.7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4. სტუდენტი დამატებით სპეციალობას/არჩევით ან აღსადგენ საგნებს/კონცენტრაციას/ენას ირჩევს სემესტრის დაწყებამდე, უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში.

3.5. სავალდებულო/სპეციალობის არჩევითი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და არჩევითი საგნის/სასწავლო კურსის შეცვლა/გაუქმება სტუდენტს შეუძლია ამ საგნების/სასწავლო კურსის სწავლის პროცესის დაწყებიდან არა უგვიანეს 2 კვირის ვადაში, შესაბამის ჯგუფებში სტუდენტების დაშვებული რაოდენობის გათვალისწინებით. ჯგუფებში სტუდენტების დაშვებულ რაოდენობას განსაზღვრავს უნივერსიტეტი. არჩევითი და სპეციალობის/სავალდებულო არჩევითი საგნების შეცვლისათვის განსაზღვრული 2-კვირიანი ვადა შეიძლება განსხვავდებოდეს გარკვეულ შემთხვევებში.

3.6. სასწავლო მიმართულების კურატორი პრორექტორი ადგენს კონცენტრაციის არჩევისა და შეცვლის ვადებს, რომლის თაობაზე ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ძირითადი სპეციალობის კონცენტრაციის შეცვლის შესახებ სტუდენტი წერილობითი განაცხადით მიმართავს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში (გარდა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამისა).

3.7. დამატებითი სპეციალობის გაუქმება სტუდენტს შეუძლია აკადემიური რეგისტრაციის დროს.

3.8. კონკრეტული საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის მიერ შეიძლება განისაზღვროს საგანზე/სასწავლო კურსზე სტუდენტთა დასაშვები მაქსიმალური ოდენობა. ეს ინფორმაცია თავსდება EMIS-ზე.

3.9. უნივერსიტეტი უფლებამოსილია არჩევითი საგნების/სასწავლო კურსებისათვის ან/და უცხო ენების ჯგუფებისათვის განსაზღვროს სტუდენტების მინიმალური რაოდენობა. შესაბამის ჯგუფში სტუდენტების მინიმალური ან მეტი რაოდენობით რეგისტრაციის შემთხვევაში, საგანი/სასწავლო კურსი შედგება.

მუხლი 4. სწავლის ხანგრძლივობა და აკადემიური კალენდარი

4.1. სასწავლო წელი არ აღემატება 45 კვირას.

4.2. სემესტრის დაწყებისა და დასრულების თარიღები ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.freeuni.edu.ge).

4.3. სასწავლო პროცესი წყდება და სტუდენტი ისვენებს წელიწადში ორჯერ - ზამთარსა და ზაფხულში. დასვენების ვადები განისაზღვრება და ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)

5.1. საბაკალავრო პროგრამა შეიძლება მოიცავდეს:

5.1.1. ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შემდეგი კატეგორიის საგნებს:

ა) სავალდებულო საგნები - პროგრამით გათვალისწინებული ის სასწავლო კურსები, რომელთა გავლა სავალდებულოა, ჩამონათვალი და შესაბამისი სემესტრი განსაზღვრულია სემესტრული გეგმით;

ბ) სპეციალობის/სავალდებულო არჩევითი საგნები - ძირითად სპეციალობასთან დაკავშირებული არჩევითი საგნები, რომელთა ჩამონათვალი და აუცილებლად გასავლელი კრედიტების მინიმალური მოცულობა პროგრამითაა განსაზღვრული;

გ) არჩევითი საგნები - უნივერსიტეტში არსებული ნებისმიერი საგანი, რომელთა აუცილებლად გასავლელი კრედიტების მინიმალური მოცულობა პროგრამითაა განსაზღვრული.

5.1.2. დამატებითი სპეციალობის (მაინორი) პროგრამით გათვალისწინებულ შემდეგი კატეგორიის საგნებს:

ა) მაინორის სავალდებულო საგნები - დამატებითი სპეციალობის პროგრამით გათვალისწინებული ის სასწავლო კურსები, რომელთა გავლა სავალდებულოა და ჩამონათვალი განსაზღვრულია პროგრამით;

ბ) მაინორის არჩევითი საგნები - დამატებითი სპეციალობის პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი საგნები, რომელთა აუცილებლად გასავლელი კრედიტების მოცულობა პროგრამითაა განსაზღვრული. მაინორის არჩევითი საგანი შეიძლება იყოს შესაბამისი საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის საგანი (სავალდებულო ან/და სპეციალობის/სავალდებულო არჩევითი საგანი), რომელიც არ წარმოადგენს მაინორის სავალდებულო საგანს.

5.2. სტუდენტს შეუძლია ბაკალავრიატზე დამატებითი კრედიტები დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი საგნების შესაბამისად, იმის

გათვალისწინებით, რომ ერთი სასწავლო წლის მანძილზე სტუდენტის დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

5.3. უნივერსიტეტის რექტორი ცვლის და ანახლებს საგანმანათლებლო პროგრამას (კურიკულუმს). უნივერსიტეტი შეცვლილ და განახლებულ კურიკულუმს აქვეყნებს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

5.4. სტუდენტი ვალდებულია, სისტემატურად თვალ-ყური ადევნოს და გაეცნოს EMIS-ზე განთავსებულ კურიკულუმსა და სემესტრულ გეგმას.

5.5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, სტუდენტს შესთავაზოს გარკვეული საგნები დისტანციურ/ონლაინ რეჟიმში, გარემოებებიდან გამომდინარე.

5.6. როგორც წესი, უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის დაწყებისთანავე ყველა სტუდენტი წერს ინგლისური ენის დონის განსაზღვრის ტესტს (Placement Test), რომლის მიხედვითაც განისაზღვრება სტუდენტის მიერ ინგლისური ენის ფლობის დონე. იმ შემთხვევაში, თუ ინგლისური ენის დონის განსაზღვრის ტესტის შედეგად ან სტუდენტის მიერ შესაბამისი ენის სერტიფიკატის წარდგენით დადგინდა, რომ სტუდენტი ინგლისურ ენას ფლობს მინიმუმ B2 დონეზე, ინგლისური ენისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ემატება სტუდენტის არჩევითი საგნების ბლოკს. ის სტუდენტები, რომლებიც ინგლისურ ენას ვერ ფლობენ B2 დონეზე, გადიან შესაბამის კურსს/კურსებს და ინგლისური ენის სწავლება დასრულებულად ითვლება, როდესაც სტუდენტი ინგლისურ ენას მინიმუმ B2 დონეზე ფლობს. ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობისათვის საჭირო კურსები იფარება სწავლის საფასურით და B2 დონის მიღწევის შემთხვევაში, სტუდენტი იღებს 7 კრედიტს.

5.7. თუ თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის მიმდინარეობს ისეთი სამართლებრივი დავა, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს სტუდენტის აკადემიურ შედეგებზე, აღნიშნული დავის დასრულებამდე უნივერსიტეტი სტუდენტს ერთჯერადად აწვდის კონკრეტული საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების იმ ჯამურ მოცულობას, რაც გათვალისწინებულია აკრედიტებული პროგრამით.

მუხლი 6. სტუდენტის მიერ კრედიტების მიღება

6.1. კრედიტი არის ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას, სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესრულებული სამუშაოს მოცულობასა და სწავლის შედეგების მიღწევის ფაქტს.

6.2. ერთი სასწავლო წლის მანძილზე (2 სემესტრის განმავლობაში) სტუდენტი შეიძლება იყოს რეგისტრირებული საგნებზე (საგანში როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში), რომელთა კრედიტების ჯამური რაოდენობა არ აღემატება 75 კრედიტს.

6.3. კრედიტი იანგარიშება საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების ჯამის საფუძველზე, სილაბუსების შესაბამისად:

6.3.1. კრედიტით გათვალისწინებული საკონტაქტო საათები შეიძლება იანგარიშებოდეს ლექციების, სემინარების, ინტერაქციული ლექციების, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის, ასევე შუალედური და ფინალური შეფასებებისათვის განკუთვნილი საათებით;

6.3.2. კრედიტით გათვალისწინებული დამოუკიდებელი სამუშაოს საათები, როგორც წესი, იანგარიშება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მასალის შესწავლისა და შუალედური და ფინალური შეფასებების მომზადებისათვის საჭირო დროის საფუძველზე.

6.4. უნივერსიტეტში არსებული საბაკალავრო პროგრამისათვის 1 კრედიტი შეესაბამება 28 საათს.

6.5. სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტი გულისხმობს საგნის/სასწავლო კურსის წარმატებით გავლას (დადებითი შეფასების მიღებას ამ დებულების 7.1 პუნქტით დადგენილი სისტემის შესაბამისად).

6.6. სტუდენტს კრედიტები ენიჭება მხოლოდ საგნის/სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შედეგად ან მობილობისას აღიარებული საგნებისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გარდა ამ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტითა და მე-5 მუხლის 5.7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 7. შეფასება და აკადემიური მოსწრების გამოთვლა

7.1. არსებობს ხუთი სახის დადებითი შეფასება:
7.1.1. (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%;
7.1.2. (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81%-90%;
7.1.3. (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71%-80%;
7.1.4. (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61%-70%;
7.1.5. (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51%-60%.

7.2. არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

7.2.1. (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41%-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობის საფუძველზე დამატებით დასკვნით გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება, ან დასკვნითი დავალების კიდევ ერთხელ შესრულების შესაძლებლობა;

7.2.2. (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7.3. სტუდენტის ცოდნა ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებებით. დასკვნითი შეფასება არის სავალდებულო. თუ სტუდენტი არ მიიღებს დასკვნით შეფასებას, მას კურსი არ ჩაეთვლება გავლილად.

7.4. განმეორებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არანაკლებ 5 დღეში.

7.5. სტუდენტს შეუძლია გავიდეს განმეორებით გამოცდაზე, ან გაიმეოროს დასკვნითი დავალება, თუ მან გადალახა შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდის/დავალების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შუალედური შეფასების შედეგად უგროვდება 41 და მეტი ქულა/% (მათ შორის, შესაძლოა 41-ზე მეტი, სილაბუსის შეფასების სისტემის შესაბამისად). ასევე, სტუდენტი უფლებამოსილია, გავიდეს განმეორებით გამოცდაზე, ან გაიმეოროს დასკვნითი დავალება, თუ მან გადალახა შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და ორივე შეფასების შედეგად უგროვდება 41-50 ქულა/%.

7.6. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან გადალახა შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასებისათვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და მიიღო ამ მუხლის 7.1 პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი დადებითი შეფასება.

7.7. დადებითი შეფასების მქონე საგნის/სასწავლო კურსის განმეორებით გავლისათვის, სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს/სკოლის ადმინისტრაციას. ასეთ შემთხვევაში, განმეორებით განვლილ საგანში საბოლოო შეფასება იქნება სტუდენტის მიერ ბოლოჯერ მიღებული შეფასება.

7.8. გამოცდაზე გასვლის შეუძლებლობის შემთხვევაში, სტუდენტი მიმართავს სკოლის ადმინისტრაციას განცხადებით, „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესის“ მე-3 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7.9. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სასწავლო კურსში/საგანში ჩაატაროს ნებისმიერი ფორმის შუალედური და დასკვნითი შეფასება.

7.10. საგნის/სასწავლო კურსის სილაბუსით დადგენილი შეფასების ფორმები, როგორც წესი, ტარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში, „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესის“ შესაბამისად. სკოლის ადმინისტრაცია, ლექტორი და სტუდენტი ვალდებულნი არიან, დაიცვან „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესის“ მოთხოვნები. სტუდენტის მიერ „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ ისეთ მოთხოვნათა დარღვევა, რომლებიც იწვევს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას, განიხილება უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების არსებით პირობათა დარღვევად და ავტომატურად იწვევს უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების შეწყვეტას, ათავისუფლებს უნივერსიტეტს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სახელშეკულებო ვალდებულებებისაგან და აჩერებს უნივერსიტეტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რის შედეგადაც სტუდენტი კარგავს შეფასებების ან/და კვალიფიკაციის მიღების შესაძლებლობას.

7.11. სტუდენტის მიერ მიღებული ყველა შეფასება რეგისტრაციის, ზუსტი აღრიცხვისა და აკადემიური მოსწრების გამოთვლის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციასა და უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. გამოცდის შედეგებს სტუდენტი ეცნობა შეფასების ელექტრონულ სისტემაში (EMIS).

7.12. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მიიჩნევს, რომ მის შუალედურ ან/და ფინალურ შეფასებაში არის ხარვეზი, მას შეუძლია EMIS-ზე მისი ქულების განთავსებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში მიმართოს შესაბამისი პროგრამის კოორდინატორს/საგნის კურატორს, შეავსოს სააპელაციო ფორმა და შევსებული სააპელაციო ფორმა იმეილის მეშვეობით გაუგზავნოს კოორდინატორს/საგნის კურატორს. სააპელაციო ფორმაში სტუდენტმა არგუმენტირებულად უნდა ჩამოაყალიბოს შეფასებაში დაეჭვების საფუძველი:

7.12.1. სტუდენტის ლექტორისადმი მიმართვა უნდა შეიცავდეს ვარაუდის დასაბუთებას, სტუდენტმა უნდა ახსნას, თუ რატომ მიიჩნევს, რომ იმსახურებს განსხვავებულ შეფასებას;

7.12.2. სტუდენტის მიერ სააპელაციო ფორმით წარდგენილი დასაბუთება უნდა იყოს კონკრეტული. შეფასების გადახედვის პროცესს დაექვემდებარება მხოლოდ დასაბუთებული განაცხადები. პროგრამის კოორდინატორი/საგნის კურატორი სწორად შევსებულ სააპელაციო ფორმას (დასაბუთებით) მიაწვდის შესაბამისი საგნის ლექტორს;

7.12.3. თუკი შესაბამისი საგნის ლექტორი ჩათვლის, რომ სტუდენტის მიერ გამოთქმული ვარაუდი საფუძვლიანია, ის კიდევ ერთხელ გადაამოწმებს სტუდენტის ნაშრომს/დავალებას და აცნობებს მას, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო სტუდენტის პრეტენზია და შეიცავდა თუ არა შეფასება ხარვეზს. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ლექტორთან ერთად საკითხების განხილვა;

7.12.4. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ დაკმაყოფილდა ლექტორის პასუხით, მას შეუძლია ლექტორის მიერ გადაწყვეტილების სტუდენტისათვის შეტყობინებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში წერილობით (ელ.ფოსტით) მიმართოს შესაბამისი საგნის კურატორ დეკანს, ან საგნის კურატორ პროგრამის ხელმძღვანელს და წარუდგინოს შეფასებაში დაეჭვების საფუძველი და ვარაუდის დასაბუთება;

7.12.5. თუკი საგნის კურატორი დეკანი/საგნის კურატორი/პროგრამის ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ სტუდენტის მიერ გამოთქმული ვარაუდი საფუძვლიანია, ის შეისწავლის საკითხს და შედეგად, ან საფუძვლიანად მიიჩნევს ლექტორის პირველად შეფასებას, რომელიც შეუცვლელი რჩება, ან მიმართავს შესაბამის ლექტორს ნაშრომის/დავალების გადახედვის თხოვნით და სათანადო მითითებით. საკითხის შესწავლის მიზნით, საგნის კურატორ დეკანს/საგნის კურატორ პროგრამის ხელმძღვანელს შეუძლია, საჭიროების და შესაძლებლობის შემთხვევაში, გაიაროს კონსულტაცია უნივერსიტეტის სხვა კვალიფიციურ პირებთან ან/და გამოიყენოს ალტერნატიული შეფასების მეთოდი უნივერსიტეტის თემატურად კომპეტენტური პირ(ებ)ის მონაწილეობით;

7.12.6. საგნის კურატორი დეკანის/საგნის კურატორი პროგრამის ხელმძღვანელის გადაწყვეტილება საბოლოოა.

7.13. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის მიზნით, სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის ლექტორი უფლებამოსილია შეიმუშაოს სტუდენტის შეფასების საკუთარი სისტემა, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობითა და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ წესებს და ასახული უნდა იყოს კონკრეტული საგნის/სასწავლო კურსის სილაბუსში.

7.14. თუ სტუდენტი არ გამოცხადდა გამოცდაზე ან არ წარმოადგინა შუალედური ან დასკვნითი შეფასებით გათვალისწინებული სამუშაო, იგი ფასდება 0 ქულით/%-ით.

7.15. თუ სტუდენტს საგანში მიღებული აქვს F შეფასება ან აქვს დადებითი შეფასება და სურს მისი გაუმჯობესება, იგი საგანს განმეორებით შეისწავლის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი განრიგის შესაბამისად.

7.16. საგნის/სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლის მიზნით, სტუდენტმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია EMIS-ის საშუალებით. EMIS-ში რეგისტრაციის გავლის შეუძლებლობის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში მას შემდეგ, რაც წარადგენს სარეგისტრაციო განაცხადს.

7.17. ინფორმაცია სასწავლო/საგამოცდო პროცესების თაობაზე, რომელიც სტუდენტებს მიეწოდებათ ჯგუფური ან ავტომატურად ელექტრონულ სისტემაში გენერირებული წერილობითი შეტყობინებების სახით, არის მხოლოდ სტუდენტების ინფორმირების, შეხსენებისა და მხედველობაში მიღების მიზნით და ასეთი შეტყობინებების მიმღებ სტუდენტებს არ ანიჭებს არავითარ ახალ ან განსხვავებულ უფლებას. ასეთი ტიპის შეტყობინების მიღების შემდეგ, სტუდენტი ვალდებულია, ამ შეტყობინებაში დასახელებულ საგანთან/საკითხთან/მოვლენასთან/ღონისძიებასთან საკუთარი შესაბამისობის განმსაზღვრელი პირადი გარემოებები, ვალდებულებები და უფლებამოსილებები გადაამოწმოს თავად. ასეთ შეტყობინებაში მოცემული ინფორმაცია და მისი რელევანტურობა კონკრეტული სტუდენტის მიმართ უნდა გადამოწმდეს თითოეული სტუდენტის მიერ შესაბამისი სკოლის/პროგრამის კოორდინატორთან და არ წარმოქმნის არავითარ ახალ ან დამატებით ვალდებულებას უნივერსიტეტისათვის.

7.18. გარდა ამ მუხლის 7.10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, სტუდენტისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება იწვევს სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების ავტომატურად შეწყვეტას იმ შემთხვევაშიც, თუ „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ შესაბამისი მუხლი შესაძლო სანქციის სახით ითვალისწინებს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასაც, თუმცაღა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული. ასეთ შემთხვევაში, უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს მიმდინარე წლის პირობებით ახალი ხელშეკრულების გაფორმებას, სტუდენტის მიერ ჩადენილი დარღვევის გარემოებებისა და დაკისრებული სანქციების გათვალისწინებით.

მუხლი 8. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერება

8.1. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი შეიძლება შეჩერებულ იქნეს არაუმეტეს 5 წლის ვადით. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

8.2. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) სტუდენტის მიერ სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულების პირობების დარღვევა;

ბ) აკადემიური შვებულება;

გ) სტუდენტის პირადი განცხადება;

დ) უნივერსიტეტისადმი ფინანსური დავალიანების არსებობა;

ე) სტუდენტის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება;

ვ) თუ ბაკალავრიატის სტუდენტი სწავლის დაწყებიდან 10 სემესტრის განმავლობაში ვერ მიიღებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამისი ოდენობის კრედიტებს. 10 სემესტრის შემდეგ, თუ სტუდენტი რეგისტრირდება რომელიმე საგანზე, ეს საგანი ითვლება დამატებით კრედიტებად და მისი საფასურის გადახდა ხდება საგანზე რეგისტრირების სემესტრისათვის დადგენილი კრედიტის საფასურის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს ჯერ არ გამოუყენებია ან დარჩენილი აქვს ამ დებულების მე-11 მუხლის 11.12 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით ან 11.13 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირველი დამატებითი 15 კრედიტი, მაშინ ამ კრედიტების ამოწურვამდე, სტუდენტი არ იხდის დამატებითი კრედიტისათვის დადგენილ საფასურს, გარდა ამ დებულების მე-11 მუხლის 11.14[1] პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

8.3. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორი და გამოიცემა შესაბამისი ბრძანება.

8.4. სტუდენტის აკადემიური შვებულების საფუძველია:

ა) საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

ბ) სავალდებულო სამხედრო სამსახური;

გ) ხანგრძლივი შრომისუუნარობა;

დ) ოჯახური პირობები/გარემოებები;

ე) პირადი განცხადება (მათ შორის, მიზეზის მითითების გარეშე).

8.5. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, რომელსაც სურს, დროებით არ ისარგებლოს უნივერსიტეტის მომსახურებით, ვალდებულია, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერების/აკადემიური შვებულების აღების თაობაზე წერილობით მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

8.6. თუ სტუდენტი ამ მუხლის 8.5 პუნქტში აღნიშნულ დოკუმენტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წარუდგენს სასწავლო სემესტრის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის

ვადაში, სტუდენტს არ დაეკისრება მიმდინარე სასწავლო სემესტრის სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულება და გაუუქმდება მიმდინარე სემესტრის საგნებზე რეგისტრაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8.7. სტუდენტი, რომელიც სტუდენტის სტატუსის შეჩერების/აკადემიური შვებულების აღების შესახებ განცხადებას წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სასწავლო სემესტრის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის შემდეგ, სემესტრის მომსახურება ჩაეთვლება მიწოდებულად და არ გაუუქმდება რეგისტრაცია მიმდინარე სემესტრში არჩეულ და სავალდებულო საგნებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8.8. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რაოდენობაში.

8.9. სტუდენტი, სწავლის საფასურისა და სემესტრულად წარმოქმნილი სხვა ფინანსური ვალდებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, კარგავს შეფასებების მიღების უფლებას და უნივერსიტეტი უფლებამოსილია, სტუდენტს შეუჩეროს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი.

8.10. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის აღდგენის მიზნით, სტუდენტი წერილობითი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ვადების შესაბამისად.

8.11. სტუდენტს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი აღუდგება უახლოესი სემესტრის დაწყებამდე. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდეგ, შესაბამისი სასწავლო წლის პირობებით სწავლის გაგრძელების მიზნითა და მიმდინარე წლის პირობებით ხელშეკრულების გაფორმების თხოვნით სტუდენტი წერილობით მიმართავს უნივერსიტეტს.

მუხლი 9. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

9.1. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
ა) უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ჯამში 5 წლის განმავლობაში თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

გ) პირადი განცხადება;

დ) სტუდენტის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც გამორიცხავს სტუდენტის მონაწილეობის შესაძლებლობას სასწავლო პროცესში;

ე) უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სტუდენტის მიერ „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ ისეთი დარღვევის თაობაზე, რაც იწვევს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას, რაც განიხილება უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების არსებით პირობათა დარღვევად და ავტომატურად იწვევს უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტას, ათავისუფლებს უნივერსიტეტს ორმხრივი ხელშეკრულებით ნაკისრი სახელშეკულებო ვალდებულებებისაგან და აჩერებს უნივერსიტეტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რის შედეგადაც სტუდენტი კარგავს შეფასებების ან/და კვალიფიკაციის მიღების შესაძლებლობას;

ვ) გარდაცვალება.

9.2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, სტუდენტის მიერ „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნების დარღვევის გამო სტუდენტს შეუწყვიტოს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით და გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

9.3. აკრძალულია უნივერსიტეტში არსებულ ნებისმიერი ტიპის პროგრამაზე იმ პირის მიღება, რომელსაც „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ დარღვევის გამო შეუწყდა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 10. სასწავლო პროგრამის გაუქმება და მობილობა

10.1. სასწავლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტის გადაყვანას თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამაზე.

10.2. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სტუდენტი უფლებამოსილია, ისარგებლოს შიდა და გარე მობილობის შესაძლებლობით.

10.3. შიდა და გარე მობილობის პროცესის ორგანიზება ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული შიდა და გარე მობილობის წესების შესაბამისად.

10.4. შიდა ან გარე მობილობისათვის დადგენილი პროცესის წარმატებით გავლის შემთხვევაში, უნივერსიტეტი სტუდენტს ჩარიცხავს შესაბამის საბაკალავრო პროგრამაზე და მიაკუთვნებს შესაბამისი აკადემიური წლის მიღებას, სტუდენტის აკადემიური მოსწრების/კრედიტების გათვალისწინებით. უნივერსიტეტი საკუთარი შეხედულებისამებრ წყვეტს, თუ რომელი აკადემიური წლის მიღებას მიაკუთვნოს სტუდენტი შიდა ან გარე მობილობის შემთხვევაში.

10.5. გარე და შიდა მობილობისას სტუდენტი ფარავს უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამისათვის დადგენილი სემესტრების სწავლის საფასურს და სწავლის საფასურთან ერთად უნივერსიტეტის წინაშე წარმოქმნილ სხვა ნებისმიერ ფინანსურ ვალდებულებას.

10.6. თუ სტუდენტი სწავლობს პროგრამაზე, რომელზეც სწავლის საფასური არის ნაკლები, ვიდრე იმ პროგრამაზე, რომელზეც სტუდენტს სურს შიდა მობილობით გადასვლა, სტუდენტი ვალდებულია, გადაიხადოს მხოლოდ გავლილი სემესტრების რაოდენობის შესაბამისი განსხვავება სწავლის საფასურში. ამასთან, სტუდენტი ყოველსემესტრულ სწავლის საფასურს იხდის იმ აკადემიური წლის მიღების სტუდენტების მსგავსად, რომელსაც უნივერსიტეტმა მიაკუთვნა ეს სტუდენტი მობილობისას.

10.7. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი სწავლობს პროგრამაზე, რომელზეც სწავლის საფასური არის მეტი, ვიდრე იმ პროგრამაზე, რომელზეც სტუდენტს სურს შიდა მობილობით გადასვლა და თან გასავლელი აქვს წინა სემესტრებით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები, აღნიშნული ჩაითვლება დამატებით კრედიტებად და კრედიტის საფასური განისაზღვრება გადახდის მომენტისათვის დადგენილი ოდენობით. ამასთან, სტუდენტი ყოველსემესტრულ სწავლის საფასურს იხდის იმ აკადემიური წლის მიღების სტუდენტების მსგავსად, რომელსაც უნივერსიტეტმა ეს სტუდენტი მიაკუთვნა მობილობისას.

10.8. იმ შემთხვევაში, თუ გარე მობილობით მიღებულ სტუდენტს გასავლელი აქვს წინა სემესტრებით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები, აღნიშნული ჩაითვლება დამატებით კრედიტებად და კრედიტის საფასური განისაზღვრება გადახდის მომენტისათვის დადგენილი ოდენობით.

10.9. გარე მობილობის შემთხვევაში, სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი საგნები შესაძლებელია აღიარებულ იქნეს უნივერსიტეტის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, გარე მობილობით გადმოსული სტუდენტისათვის აღიარებულ საგანს ენიჭება იმდენი კრედიტი, რამდენიც გათვალისწინებულია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მსგავსი/ეკვივალენტი საგნისათვის.

10.10. კრედიტის აღიარების თხოვნით სტუდენტმა უნდა მიმართოს უნივერსიტეტის შესაბამის სკოლას.

10.11. სპეციალობის/სავალდებულო არჩევითი და არჩევითი საგნების არჩევა სტუდენტის მიერ შესაძლოა განხორციელდეს მესამე სემესტრიდან. შესაბამისად, ამა თუ იმ საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის/სავალდებულო არჩევითი და არჩევითი საგნებისათვის განსაზღვრული ლიმიტის ათვისება სტუდენტის მიერ ხორციელდება 6 სემესტრის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, სპეციალობის/სავალდებულო არჩევითი და არჩევითი საგნების შემთხვევაში, სტუდენტის მიერ გადახდილი ყოველსემესტრული საფასური პროპორციულად ნაწილდება პირველი ორი სემესტრის გარდა დარჩენილ სემესტრებზე. თუ საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის/სავალდებულო არჩევითი და არჩევითი საგნებისათვის განსაზღვრული ლიმიტის ათვისება გათვალისწინებულია სემესტრების სხვა რაოდენობის განმავლობაში, დაანგარიშება მოხდება ზემოთ მოყვანილი პრინციპით სემესტრების რაოდენობის შესაბამისად.

10.12. ამ მუხლის 10.11 პუნქტის გათვალისწინებით, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ მობილობის განხორციელების შემთხვევაში, მობილობის განხორციელებამდე დამატებითი კრედიტების დაანგარიშების მიზნებისათვის, მისი მიმდინარე პროგრამით არჩევითი საგნების აუცილებლად გასავლელი კრედიტების მოცულობა განისაზღვრება სტუდენტის მიერ ამ პროგრამაზე, მე-2 სემესტრის შემდეგ ნასწავლი სემესტრების რაოდენობის პროპორციულად. თუ საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის/სავალდებულო არჩევითი და არჩევითი საგნებისათვის განსაზღვრული ლიმიტის ათვისება გათვალისწინებულია სემესტრების სხვა რაოდენობის განმავლობაში, დაანგარიშება მოხდება ზემოთ მოყვანილი პრინციპით, სემესტრების რაოდენობის შესაბამისად.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი საგნების აუცილებლად გასავლელი კრედიტების მოცულობა შეადგენს 12 კრედიტს, ხოლო სტუდენტს მობილობის განხორციელებამდე პროგრამის 4 სემესტრი აქვს დასრულებული, დამატებითი კრედიტების დაანგარიშების მიზნებისათვის, მიიჩნევა, რომ არჩევითად გავლილი საგნებიდან 4 კრედიტი ((4-2)*(12/6)=4) მიეკუთვნება სწავლის სემესტრული საფასურით დაფინანსებას, ხოლო არჩევითად გავლილი საგნებიდან 4-ზე მეტი კრედიტი მიეკუთვნება დამატებით კრედიტებს.

10.13. ამ მუხლის 10.11 პუნქტის გათვალისწინებით, სხვა სასწავლო დაწესებულების ან თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ მობილობის განხორციელების შემთხვევაში, მობილობის განხორციელების შემდეგ დამატებითი კრედიტების დაანგარიშების მიზნებისათვის, მისი ახალი პროგრამით არჩევითი საგნების აუცილებლად გასავლელი კრედიტების მოცულობა განისაზღვრება სტუდენტის მიკუთვნებული

შესაფერისი აკადემიური წლის მიღებისათვის პროგრამის გასავლელად დარჩენილი სემესტრების რაოდენობის პროგრამით გათვალისწინებული სემესტრების რაოდენობის (პირველი 2 სემესტრის გამოკლებით) თანაფარდობის პროპორციულად. თუ საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის/სავალდებულო არჩევითი და არჩევითი საგნებისათვის განსაზღვრული ლიმიტის ათვისება გათვალისწინებულია სემესტრების სხვა რაოდენობის განმავლობაში დაანგარიშება მოხდება ზემოთ მოყვანილი წესის შესაბამისად.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი საგნების აუცილებლად გასავლელი კრედიტების მოცულობა შეადგენს 12 კრედიტს, ხოლო სტუდენტი მობილობისას მიაკუთვნეს აკადემიური წლის ჩარიცხვას, რომელსაც პროგრამის გასავლელად დარჩენილი აქვს 4 სემესტრი, დამატებითი კრედიტების დაანგარიშების მიზნებისათვის, მიიჩნევა, რომ პროგრამის საფასური არჩევითად აუცილებლად გასავლელი საგნებისათვის მოიცავს 8 კრედიტს (4*(12/6)=8). შესაბამისად, 8 კრედიტის ფარგლებში გავლილი არჩევითი საგნები მიეკუთვნება სწავლის სემესტრული საფასურით დაფინანსებას, ხოლო არჩევითად გავლილი საგნებიდან 8-ზე მეტი კრედიტი განეკუთვნება დამატებით კრედიტებს.

10.14. ამ მუხლის 10.12 და 10.13 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დაანგარიშებისას დამრგვალება ხდება სტუდენტის სასარგებლოდ.

10.15. გარე მობილობის მსურველმა პირმა თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
ა) სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი);
ბ) შესწავლილი საგნების სილაბუსები;
გ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
დ) ელექტრონული ფოტოსურათი (ზომით 3/4).

10.16. მობილობის შემთხვევაში, შესაძლოა, საჭირო გახდეს სტუდენტის მიერ საგნის/სასწავლო კურსის ათვისების ფაქტობრივი დადასტურება, რისი ფორმაც არის გასაუბრება, ზეპირი ან წერილობითი გამოცდა, ესეი, ტესტირება, დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, ან/და „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესით“ დადგენილი შეფასების სხვა ფორმები.

მუხლი 11. უნივერსიტეტში სწავლის დაფინანსება

11.1. სწავლის საფასურს სტუდენტი სრულად ფარავს პროგრამით დადგენილი სემესტრების განმავლობაში, სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების შესაბამისად.

11.2. სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულება შევსებული და ხელმოწერილი უნდა იქნეს უშუალოდ სტუდენტის მიერ, ხოლო თუ სტუდენტი არასრულწლოვანია - მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ. ამასთან, სტუდენტი ვალდებულია განუხრელად დაიცვას ამ ხელშეკრულების მოთხოვნები.

11.3. ამ მუხლში აღნიშნული ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად: ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სტუდენტს, ხოლო მეორე - უნივერსიტეტს.

11.4. ხელშეკრულებაში სტუდენტმა უნდა მიუთითოს:

ა) სტუდენტის სახელი და გვარი, ხოლო არასრულწლოვანების შემთხვევაში, აგრეთვე კანონიერი წარმომადგენლის სახელი და გვარი;

ბ) სტუდენტის პირადი ნომერი, ხოლო არასრულწლოვანების შემთხვევაში, აგრეთვე კანონიერი წარმომადგენლის პირადი ნომერი;

გ) სტუდენტის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის ზუსტი მისამართი, იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთან ოფიციალური კომუნიკაცია განხორციელდება აღნიშნულ მისამართზე;

დ) სტუდენტის მიერ არჩეული სკოლის/საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება.

11.5. არასრულწლოვნობის შემთხვევაში, სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის დადებულ ხელშეკრულებას უნდა დაერთოს სტუდენტის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი.

11.6. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, თუ ამით უმჯობესდება სტუდენტის მდგომარეობა, ასევე იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა ცვლილება უნივერსიტეტის წესდებაში, „სტუდენტის ეთიკის კოდექსში“, „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესში“ და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელ აქტებში.

11.7. პროგრამის დასრულება შესაძლებელია საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მიღების (მათ შორის, პროგრამით დადგენილ სავალდებულო საგნებში დადებითი შეფასების მიღების), პროგრამით დადგენილი სემესტრების სწავლის საფასურის და, ასევე, უნივერსიტეტის წინაშე არსებული ნებისმიერი სახის ფინანსური ვალდებულების გადახდის საფუძველზე, ამ დებულების მე-7 მუხლის 7.10, ამ მუხლის 11.29 და 11.30 პუნქტების პირობათა გათვალისწინებით.

11.8. სტუდენტის მიერ ყოველსემესტრულად გადასახდელი თანხა შეიძლება მოიცავდეს:

ა) სწავლის საფასურს საბაკალავრო პროგრამისათვის დადგენილი სემესტრების რაოდენობის გათვალისწინებით;

ბ) დამატებითი კრედიტების საფასურს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) სხვა ნებისმიერ ფინანსურ ვალდებულებას, რომელიც სტუდენტს წარმოექმნა უნივერსიტეტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) მობილობის ან აკადემიური შვებულებიდან დაბრუნების შემთხვევაში, ამ დებულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

11.9. ყოველსემესტრული სწავლის საფასური არის სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, სახელმწიფო სასწავლო გრანტის და სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამის პუნქტში აღნიშნული სხვა გრანტების გამოკლების შედეგად დარჩენილი სტუდენტის მიერ გადასახდელი თანხის 50% საშემოდგომო სემესტრისათვის და 50% საგაზაფხულო სემესტრისათვის.

11.10. სემესტრული საფასური ფარავს საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი სემესტრით გათვალისწინებულ საგნებს მიუხედავად იმისა, თუ რომელ სემესტრში გაივლის ამ საგნებს სტუდენტი, მისი აკადემიური მოსწრების მდგომარეობის გათვალისწინებით.

11.11. თუ სტუდენტი ბაკალავრიატში სწავლას ასრულებს საბაკალავრო პროგრამით დადგენილ სემესტრებზე ნაკლებ პერიოდში, ასეთ შემთხვევაში, პროგრამის დასრულებისთანავე სტუდენტი ფარავს პროგრამის საფასურს (ყოველსემესტრული საფასურის ჯამი) და მის მიერ უკვე გადახდილ თანხას შორის სხვაობას.

11.12. თუ სტუდენტი ირჩევს მხოლოდ ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამას, ამ პროგრამისათვის განსაზღვრული სწავლის საფასური მოიცავს:

ა) ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილ სავალდებულო, სპეციალობის/სავალდებულო არჩევით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და არჩევით საგნებს;

ბ) პირველი დამატებითი 15 კრედიტის ფარგლებში არჩეულ საგნებს (გარდა იმ შემთხვევისა, თუ სტუდენტმა დაარღვია უნივერსიტეტთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების, „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესისა“ და „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნები).

11.13. თუ სტუდენტი ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად ირჩევს დამატებითი სპეციალობის (მაინორი) პროგრამას, ბაკალავრიატში მისი სწავლის საფასური მოიცავს:

ა) ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილ სავალდებულო საგნებს და სპეციალობის/სავალდებულო საგნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) ერთი დამატებითი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილ საგნებს;

გ) პირველი დამატებითი 15 კრედიტის ფარგლებში არჩეულ საგნებს (გარდა იმ შემთხვევისა, თუ სტუდენტმა დაარღვია უნივერსიტეტთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების, „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესისა“ და „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნები).

11.14. დამატებითი კრედიტის საფასური არის სამსაფეხუროვანი. პირველი დამატებითი 15 კრედიტი სტუდენტს მიეწოდება ამ მუხლის 11.12 და 11.13 პუნქტების შესაბამისად. სტუდენტი დამატებით საფასურს იხდის ამ მუხლის 11.12 და 11.13 პუნქტებით დადგენილი კრედიტების ამოწურვის შემდეგ და შესაბამისად, საფასურის მეორე საფეხური დგინდება, პირველი დამატებითი 15 კრედიტის გადაჭარბების შემდგომი, ყოველი მე-16 დამატებითი კრედიტიდან 30-ე კრედიტისთვის; ხოლო საფასურის მესამე საფეხური დგინდება ყოველი 31-ე და მომდევნო კრედიტებისათვის.

11.14[1]. იმ შემთხვევაში, თუ სტატუსშეჩერებულ სტუდენტს სტატუსის აღდგენისას ათვისებული აქვს 200 კრედიტზე ნაკლები და ამასთან, საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან გასულია 10 სემესტრი, მისთვის დამატებითი კრედიტის საფასური შეიძლება განსხვავებულად განისაზღვროს რექტორის ბრძანების საფუძველზე.

11.14[2]. თუ პირველი დამატებითი 15 კრედიტის მიწოდება სტუდენტისთვის გაუქმებულია უნივერსიტეტთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების, „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესისა“ და „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნების დარღვევის გამო, დამატებითი კრედიტის საფასური არის ორსაფეხუროვანი. პირველ ეტაპზე, სტუდენტი იხდის დამატებითი კრედიტების საფასურს, ან რეტროსპექტულად ეკისრება მათი გადახდა, დადგენილი კრედიტების ამოწურვის შემდეგ. შესაბამისად, საფასურის მეორე საფეხური დგინდება პირველი დამატებითი 15 კრედიტის გადაჭარბების შემდგომი, ყოველი მე-16 დამატებითი კრედიტიდან მომდევნო კრედიტებისათვის.

11.15. სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ერთზე მეტი დამატებითი სპეციალობა (მაინორი). თუ სტუდენტს არჩეული აქვს ერთზე მეტი დამატებითი სპეციალობა, სტუდენტის სწავლის საფასური ფარავს მხოლოდ პირველად არჩეული დამატებითი სპეციალობით გათვალისწინებულ საგნებს, ხოლო სხვა დამატებითი სპეციალობის საგნების კრედიტებს სტუდენტი იხდის ამ მუხლის 11.8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სემესტრულად.

იმ შემთხვევაში, თუ პირველად არჩეულ დამატებით სპეციალობას გააუქმებს სტუდენტი, მის ფარგლებში გავლილ საგნებზე მოქმედებს ამ მუხლის 11.20 პუნქტით დადგენილი წესი. ამასთან, პირველად არჩეული დამატებითი სპეციალობის გაუქმების შემთხვევაში, სწავლის საფასურით შესაძლოა დაიფაროს უკვე მოქმედი ან მომავალში არჩეული სხვა დამატებითი სპეციალობის პროგრამა.

11.16. უნივერსიტეტის მიერ სპეციალობის/სავალდებულო არჩევითი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და არჩევითი საგნების არჩევისათვის განკუთვნილი ვადის ამოწურვის შემდეგ, სტუდენტის მიერ არჩეული საგანი ითვლება მიწოდებულად და სტუდენტს წარმოექმნება შესაბამისი ფინანსური ვალდებულებები (გარდა ამ დებულების მე-8 მუხლის 8.6. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), რომელიც სტუდენტმა უნდა გადაიხადოს სემესტრის დაწყებიდან 30 დღის განმავლობაში.

11.17. დამატებითი კრედიტი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ სტუდენტმა დაარღვია უნივერსიტეტთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების, „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესისა“ და „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნები) წარმოიშვება, როდესაც:

ა) რომელიმე საგანში სტუდენტი ჩაიჭრა (F შეფასება) და შესაბამის საგანს განმეორებით გაივლის;

ბ) სტუდენტი განმეორებით გადის რომელიმე საგანს, მიღებული დადებითი შეფასების გაუმჯობესებისათვის;

გ) ძირითადი სპეციალობის პროგრამით ან/და დამატებითი სპეციალობის პროგრამით დადგენილი კრედიტების გარდა, სტუდენტი ირჩევს ნებისმიერ საგანს, საკუთარი ინტერესის შესაბამისად;

დ) სტუდენტი გადის საგანს, რომელიც მისი პროგრამისათვის არის სავალდებულო საგანი, თუმცა სემესტრული გეგმით გათვალისწინებული იყო პროგრამის იმ სემესტრში, რომელშიც ეს სტუდენტი ამ პროგრამაზე არ სწავლობდა (ან ამ სტუდენტს ამ პროგრამაზე არ ჰქონდა აქტიური სტატუსი);

ე) თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში სტუდენტის მობილობის შემთხვევაში.

11.18. მობილობის ან სასწავლო პროგრამის ჩარიცხვის/ნაკადის ცვლილების შემთხვევაში, დამატებითი კრედიტების წარმოშობის საკითხის დადგენის მიზნებისათვის, პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი საგნებისთვის აუცილებლად გასავლელი კრედიტების მოცულობა განისაზღვრება ამ დებულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

11.19. უნივერსიტეტის კეთილი ნებით, ბაკალავრიატის სტუდენტისათვის პირველი 15 დამატებითი კრედიტი, რომელიც წარმოიშვა ამ მუხლის 11.17 პუნქტის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირობებში, სტუდენტს არ წარმოუქმნის დამატებით ფინანსურ ვალდებულებას უნივერსიტეტის მიმართ (გარდა იმ შემთხვევისა, თუ სტუდენტმა დაარღვია უნივერსიტეტთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების, „გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესისა“ და „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნები).

11.20. დამატებითი სპეციალობის (მაინორის) გაუქმების შემთხვევაში, დამატებითი სპეციალობის ფარგლებში გავლილი საგნები ითვლება ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის არჩევით საგნებად, გარდა სამართლის საბაკალავრო პროგრამისა (ამ შემთხვევაში, გაუქმებული მაინორის ფარგლებში გავლილი საგნები ჩაითვლება დამატებით კრედიტში). დამატებითი სპეციალობის გაუქმების შემდეგ, თუ დამატებითი სპეციალობის ფარგლებში გავლილი საგნებით გათვალისწინებული კრედიტები გადააჭარბებს ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული არჩევითი საგნებისათვის განკუთვნილი კრედიტების ოდენობას, ასეთი კრედიტები ჩაითვლება დამატებით კრედიტებად, ამ მუხლის 11.17 პუნქტის „ა“–„გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

11.21. შეიძლება დადგეს შემთხვევა, როდესაც სტუდენტის მიერ არჩეული საგნისათვის განკუთვნილი კრედიტების დაფინანსება სხვადასხვანაირად განხორციელდეს.

შენიშვნა: შესაძლებელია სტუდენტის მიერ არჩეული საგნისათვის განკუთვნილი კრედიტების ნაწილი იფარებოდეს სწავლის საფასურით, რამდენადაც საბაკალავრო პროგრამით არჩევითი საგნებისათვის განსაზღვრულ ლიმიტში ექცევა; კრედიტების ნაწილი დაიფაროს პირველი დამატებითი 15 კრედიტისათვის დარჩენილი ლიმიტით; ხოლო კრედიტების ნაწილისათვის კი, სტუდენტს წარმოექმნას უნივერსიტეტის წინაშე ფინანსური ვალდებულება, რადგან საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული არჩეული საგნებისა და პირველი დამატებითი 15 კრედიტისათვის დადგენილი ლიმიტები ამოიწურა. ასეთ შემთხვევაში, დამატებითი კრედიტი წარმოიშვება მხოლოდ საგნით გათვალისწინებული კრედიტებისათვის სხვა ფორმით დაფინანსებული კრედიტების გამოკლებით მიღებული ნაშთის ოდენობით.

11.22. სტუდენტის მიერ პირველი დამატებითი 15 კრედიტის ათვისება უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტის მიერ სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე.

11.23. სტუდენტი ამ მუხლის 11.17 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დამატებითი კრედიტის საფასურს იხდის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ამოწურავს პირველ დამატებით 15 კრედიტს, ამ მუხლის 11.14 პუნქტის შესაბამისად და ასევე, ამ მუხლის 11.19 პუნქტის პირობათა გათვალისწინებით.

11.24. დამატებითი კრედიტის საფასური ყოველსემესტრულად განისაზღვრება უნივერსიტეტის შესაბამისი მარეგულირებელი აქტით, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

11.25. დამატებითი კრედიტის საფასური განისაზღვრება სტუდენტის მიერ საგნის გავლის მომენტისათვის დადგენილი ოდენობით (უარყოფითი თუ დადებითი შეფასების მიღებისაგან დამოუკიდებლად).

11.26. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, გაზარდოს სწავლის საფასური, მაგრამ არა უმეტეს წინა სასწავლო წლის საფასურის 12%-ის ოდენობით.

11.27. სწავლის საფასური შეიძლება გაიზარდოს 12%–ზე მეტით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წლიური ინფლაცია ან/და ეროვნული ვალუტის დევალვაცია დოლართან მიმართებაში, ოფიციალური მონაცემებით, გადააჭარბებს 12%–ს.

11.28. სტუდენტს აკადემიური ხარისხი ენიჭება შესაბამისი სკოლის ფარგლებში მოქმედი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის მიერ მიღებული რეკომენდაციის/გადაწყვეტილების საფუძველზე. კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

11.29. კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისია უფლებამოსილია სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე რეკომენდაცია/გადაწყვეტილება წარუდგინოს უნივერსიტეტის რექტორს იმ შემთხვევაში, თუ კუმულაციურად დაკმაყოფილებულია მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება (ა) სტუდენტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებს, (ბ) სტუდენტის ქცევის „სტუდენტის ეთიკის კოდექსით“ დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობას, ამ მუხლის 11.30 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით და (გ) სტუდენტზე დაკისრებული ფინანსური ვალდებულებების შესრულებას.

11.30. „სტუდენტის ეთიკის კოდექსით“ დადგენილ სტანდარტებთან სტუდენტის ქცევის შესაბამისობის დადგენისას კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისია ითვალისწინებს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებულ და კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის მიმდინარეობს სამართლებრივი დავა, რომლის შედეგსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს სტუდენტის აკადემიურ შედეგებზე, კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისია არ განიხილავს საკითხს იქამდე, ვიდრე არ გადაწყდება მიმდინარე სამართლებრივი დავა და არ იქნება მიღებული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება, რათა არ დადგეს უნივერსიტეტისათვის გამოუსწორებელი და შეუქცევადი შედეგები „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ იმ დამრღვევ პირზე დიპლომის გაცემის სახით, რომელსაც ეთიკის საბჭომ დისციპლინური სანქციის სახით შეუფარდა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

11.31. კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის შემადგენლობაში, როგორც წესი, შედიან სკოლის დეკანი/ასოცირებული დეკანი, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სტუდენტების დეკანი, იურიდიული სამსახურის უფროსი, ფინანსური ანალიტიკოსი, სკოლის/საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი-კომისიის მდივანი. რექტორის გადაწყვეტილებით, კომისიის წევრად შესაძლებელია სხვა პირის მოწვევაც.

11.32. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ფარგლებში მოქმედი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს. კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის მუშაობას.

11.33. კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისია გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

11.34. კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის სხდომის ოქმისა და მიღებული გადაწყვეტილების შედგენას. სხდომის ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრები და კომისიის მდივანი.

11.35. კომისიის სხდომის ოქმი და კომისიის გადაწყვეტილება/რეკომენდაცია დაუყოვნებლივ წარედგინება უნივერსიტეტს რექტორს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა და კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე შესაბამისი აქტის გამოცემის მიზნით.

მუხლი 12. უნივერსიტეტის მიერ გაცემული დოკუმენტები

12.1. ნებისმიერ სტუდენტს ან კურსდამთავრებულს შეუძლია უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მიიღოს მის მიერ მიღებული შეფასებების ფურცელი და სხვა ცნობები.

12.2. სტუდენტის მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტი გასცემს დამოწმებულ ცნობას სტუდენტის სტატუსის შესახებ. ცნობა გაიცემა სწავლის ფაქტის დასადასტურებლად, მიღებული შეფასებების დასადასტურებლად, GPA-ის დასადასტურებლად და სტუდენტის შესახებ უნივერსიტეტის ხელთ არსებული სხვა ინფორმაციის დასადასტურებლად.

მუხლი 13. უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი და სტუდენტის ელექტრონული ფოსტა

13.1. საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.freeuni.edu.ge.

13.2. სტუდენტი ვალდებულია, რეგულარულად გაეცნოს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას და თვალ-ყური ადევნოს სიახლეებსა და მარეგულირებელი დოკუმენტების ცვლილებებს.

13.3. უნივერსიტეტი თითოეული სტუდენტისათვის ქმნის საუნივერსიტეტო პერსონალურ ელექტრონულ ფოსტას, რომლის მეშვეობითაც უნივერსიტეტი სტუდენტს უგზავნის მნიშვნელოვან შეტყობინებებს და სტუდენტი ვალდებულია რეგულარულად გაეცნოს ელექტრონულ ფოსტას. სტუდენტისათვის საუნივერსიტეტო პერსონალურ ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება ითვლება ინფორმაციის მიწოდებად/ჩაბარებად, ამ დებულების მე-7 მუხლის 7.17 პუნქტით დადგენილი სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები

14.1. სასწავლო პროცესის დახვეწისა და უკეთ ორგანიზების მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს ბაკალავრიატის დებულების ცვლილებებს. დებულების ცვლილებები ექვემდებარება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას.

14.2. „საბაკალავრო პროგრამების დებულების“ რომელიმე ნორმის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა გავლენას არ ახდენს ამ დებულების დანარჩენი ნორმების იურიდიულ ძალაზე.